კრიტერიუმი 1

რეპუტაცია და სანდოობა

კრიტერიუმი 2

მოსახერხებლობა და ხელმისაწვდომობა

კრიტერიუმი 3

ეთიკა

კრიტერიუმი 4

საკომისიოები, ჯარიმები და სხვა ხარჯები

კრიტერიუმი 5

საპროცენტო განაკვეთი

კრიტერიუმი 6

შეზღუდვები

განსაკუთრებული პირობები და შეთავაზებები

- იცნობ ადამიანს, რომელსაც ამ ბანკში ანგარიში აქვს გახსნილი?
- რას ფიქრობს ეს ადამიანი ამ ბანკზე?
- კმაყოფილია თუ არა ჩვენი ნაცნობი ამ ბანკის მომსახურებით და პირობებით?
- ხომ არ გაგიგია უარყოფითი რეკლამა ან ახალი ამბავი ამ ბანკთან დაკავშირებით?

დამხმარე შეკითხვები 2

- აქვს თუ არა ამ ბანკს ფილიალი/ბანკომატი შენს სკოლასთან, სახლთან ან სამსახურთან ახლოს?
- რა არის ფილიალის სამუშაო საათები?
- გთავაზობს თუ არა ბანკი დისტანციურ მომსახურებას, მაგალითად ინტერნეტბანკს?
- გრძნობ თუ არა თავს დაცულად იმ ქუჩაზე, სადაც ბანკის ფილიალი/ბანკომატია განთავსებული?
- განათებულია ბანკომატის მიმდებარე ტერიტორია?

დამხმარე შეკითხვები 3

- იცავს თუ არა ბანკი ეთიკის წესებს?
- არის თუ არა ბანკის პირობები და გასაგები და გამჭვირვალე? ხომ არ არის რეკლამები შეცდომაში შემყვანი?
- იცავს თუ არა ბანკი მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს?
- შემიძლია გამოვხატო პრეტენზია? სად და რა ფორმით
- საკუთარი საქმიანობით ბანკი ზიანს ხომ არ აყენებს გარემოს?

დამხმარე შეკითხვები 4

- რა საკომისიოების გადახდა მომიწევს ანგარიშის გახსნის, ან ბარათის შეკვეთის შემთხვევაში?
- არსებობს თუ არა ყოველთვიური ან ყოველწლიური გადასახადი ანგარიშზე/ბარათზე?
- რამდენია თანხის გადარიცხვის საკომისიო? თანხის ბარათიდან განაღდების საკომისიო? და ა.შ.
- რა ჯარიმა დამეკისრება ხელშეკრულების ამა თუ იმ პუნქტის დარღვევისას?
- სხვა რა ხარჯი ახლავს სესხის აღებას?

დამხმარე შეკითხვები 5

- რამდენს შეადგენს საპროცენტო განაკვეთი ჩემ მიერ შერჩეულ დეპოზიტზე? სესხზე?
- რომელი ტიპის დეპოზიტზეა შესაძლებელი ყველაზე მაღალი სარგებლის მიღება?
- რა საპროცენტო განაკვეთებია შემოთავაზებული სტუდენტურ სესხებზე? ა.შ.
- სესხის შემთხვევაში, რა ხარჯი მემატება პროცენტის სახით?

დამხმარე შეკითხვები 6

- რა შეზღუდვა აქვს ჩემს მიერ არჩეულ პროდუქტს? მაგალითად:
- რა თანხის გატანა შემიძლია ანგარიშიდან 1 დღის განმავლობაში?
- შემიძლია თუ არა დეპოზიტის თანხის ვადაზე ადრე გატანა? რა მოხდება ამ შემთხვევაში?
- შემიძლია თუ არა ჩემი ბარათით ნებისმიერ ვებგვერდზე გადახდა?

დამხმარე შეკითხვები 7

- შესაძლებელია თუ არა ჩემს პროდუქტზე რაიმე განსაკუთრებული პირობების მიღება?
- მეკუთვნის თუ არა რაიმე პროდუქტი უფასოდ?
- მექნება თუ არა ფასდაკლება, ან თანხის გარკვეული ნაწილის უკან დაბრუნების შესაძლებლობა თქვენი ბარათით სარგებლობისას?
- როგორც ერთგულ მომხმარებელს, შემიძლია თუ არა დეპოზიტზე უფრო მაღალი სარგებლის მიღება?